დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრი:
ნატო ოგანეზოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215147945

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ფოთი
ფაქტობრივი მისამართი	დემეტრი თავდადებულის ქ. 51
საფოსტო ინდექსი	4400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.einsteinschool.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Gimnazia-poti@
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577125710

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 20 დეკემბრის NMES 9 24 0001638343
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	23.12.2024წ

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 27 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოვიდა N1526493 განცხადება ზოგადსაგნამანათლებლო დაწესებულება შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლაში (ყოფილი შპს გიმნაზია) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლა (შემდგომში - სკოლა ან დაწესებულება) მდებარეობს ქალაქ ფოთში. განმცხადებელს წარმოადგენს სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობლის მინდობილი პირი და განცხადებას თან ერთვის სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება/მინდობილობა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლის ყოფილი მოსწავლე, 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ერონული სასწავლო გეგმის მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით (მე-11 კლასი) რეგისტრირებულ იქნა სპეციალურ პროგრამაში. განმცხადებელი უთითებს, რომ იმ ფონზე, როცა დედა და შვილი, ბავშვზე გადამხდარი მოვლენების გამო იყვნენ სტრესში, დედა იძულებით მიიყვანეს სკოლაში და ისე დააწერინეს განცხადება, რომ შინაარსი მისთვის უცნობი იყო.

განმცხადებელი, ასევე, უთითებს, რომ სკოლის მხრიდან მიწოდებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების განრიგი მესენჯერის მეშვეობით, სკოლის თანამშრომლის მიერ, დასურათებული სახით და არა ბრძანებით დამტკიცებული, რასაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება'' (შემდგომში - ექსტერნის დებულება). განცხადებაში აღნიშნულია, რომ განრიგის თანახმად, 10 საგანი ფორმალურად იყო გადანაწილებული 4 დღეზე, თუმცა რეალურად განაწილდა 2 დღეზე. განმცხადებელი თვლის, რომ აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება ექსტერნის დებულების მოთხოვნებს, რომლის მე-7 მუხლის თანახმად, განრიგი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადებში ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესაძლებლობა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ გარდა დებულების დარღვევისა, აღნიშნული, ასევე, წინააღმდეგობაში მოდის სკოლის ბრძანებით დამტკიცებულ განრიგთან, რომელიც 4 დღეს ითვალისწინებდა, თუმცა დირექტორის მიერ გამოცდები სინამდვილეში 2 დღეზე განაწილდა.

განცხადებაში, აღნიშნულია, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რაც ბავშვს ბოლო პერიოდში გადახდა და რითაც იყო გამოწვეული მისი გაცდენები სასწავლო წლის განმავლობაში. განცხადებას თან ერთვის ფოთის რაიონული პროკურატურისა (გაცემის თარიღი: 02.09.2024 წელი) და ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული (გაცემის თარიღი: 30.08.2024 წელი) ცნობები, რომელთა თანახმადაც, არასრულწლოვანი, ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე (სექსუალური ხასიათის დანაშაულს ჩადენილს 16 წლის ასაკს მიუღწეველთან) ცნობილი იქნა დაზარალებულად.

განმცხადებელი, ასევე აღნიშნავს, რომ სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს არ გააჩნდა ელექტრონული ჟურნალი. სკოლამ ელექტრონული ჟურნალი აამოქმედა სასწავლო წლის ბოლოს, მაისი-ივნისის თვეში და სწორედ მაშინ ჩაუწერა ბავშვს არები. განმცხადებელი უთითებს, რომ მასწავლებლები არ სარგებლობდნენ ელექტრონული ჟურნალით, 2023-2024 სასწავლო წელს არცერთი მშობელი არ იყენებდა ელექტრონულ ჟურნალს და ასე დაუდგინეს მოსწავლეს ექსტერნი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მშობლის მხრიდან გამოთხოვილ იქნა ელექტრონული ჟურნალიდან ამონაწერი, რის საფუძველზეც დადგინდა ექსტერნი, თუმცა სკოლამ ასლი დედანთან შესაბამისობაში ვერ წარმოადგინა და დირექტორმა თავისი ხელით შედგენილი და ჩაწერილი არები გამუგზავნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლას, რომლის მიზანიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო, მოსწავლის მდგომარეობაზე არ უფიქრია. საუკეთესო შეფასების მქონე მოსწავლეს ისედაც მძიმე ფსიქოემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმა, ფარად გაიხადეს მშობლის განცხადება, რომელიც იძულებით დააწერინეს ერთ-ერთი მასწავლებლის შემოთვლის საფუძველზე და ბავშვის საუკეთესო ინტერესები უგულებელყო.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, როცა იგი ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მან გადაიტანა, შეუძლებელი იყო დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს. რეფერირების წესი და მოქმედი კანონმდებლობა კი სკოლას ავალდებულებდა მოსწავლის გაცდენები ჩაეთვალა საპატიოდ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია მიზეზები, რომლის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენა ჩათვალოს საპატიოდ. კერძოდ, საპატიოდ ჩაითვლება გაცდენა, რომელიც გამოწვეულია: მოსწავლის ავადმყოფობით, სამედიცინო გამოკვლევეით, მოსწავლის ვალდებულებით გამოცხადდეს ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ.

განმცხადებელი ასევე უთითებს, რომ მშობლის მიერ სკოლაში 2024 წლის 13 სექტემბერს წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი და მოთხოვნილ იქნა ბავშვის მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანების და 2023-2024 სასწავლოს წლის განმავლობაში მოსწავლის მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში რეგისტრაციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლა. ამასთან, ზოგადი ადმინისტარციული კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნილ იქნა მშობლის, როგორც დაინტერესებული მხარის, საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევა/ჩართვა, რაზეც განმცხადებელი უთითებს, რომ სკოლას აღნიშნული არ განუხორციელებია.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჩივრის პასუხად სკოლამ მშობელს გაუგზავნა წერილი, რომლის ერთ ნაწილში აღნიშნულია, რომ ექსტერნად რეგისტრაციაზე მშობლის განცხადება იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორე აბზაცში დირექტორი თავს იმართლებს, რომ ბავშვის მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ეს არის მტკნარი სიცრუე და აღნიშნულს დაადასტურებს არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, სოციალური მუშაკი, რომელიც სკოლაში იყო მისული დირექტორთან, ასევე მასწავლებელიც, რომელთანაც საუბრობდა. განმცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სკოლამ ჩუმად მოიწვია მშობელთა კრება მშობლის (იგულისხმება განმცხადებლის მარწმუნებელი) გაფრთხილების გარეშე და კრებაზე განიხილა ბავშვის მდგომარეობა.

განმცხადებელი თვლის, რომ სკოლამ მხედველობაში არ მიიღო ბავშვის მდგომარეობა, მაშინ როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო მისთვის პრიორიტეტული. ასევე, დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს საჩივრის განხილვის ერთ თვიან ვადას. ამასთან, უთითებს, რომ კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, ადმინისტარციული ორგანო საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის თანახმად კი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერსებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, რაც სკოლამ არ განახორციელა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მშობელმა სკოლას კვლავ გაუგზავნა წერილი 4 ოქტომბერს, რაზეც სკოლას პასუხი დღემდე არ გაუცია, მშობლის წარმომადგენელს კი სატელეფონო საუბარში განუცხადა, რომ პასუხს აუცილებლად გაუგზავნიდა. ამის ნაცვლად სკოლის დირექტორმა პოლიციაში წარადგინა განცხადება იმ საფუძვლით, რომ თითქოს მშობლის ხელმოწერაში ეჭვი შეიტანა. განმცხადებელი თვლის, რომ სკოლის დირექტორი პოლიციაში დაბარებით და დაშინების გზით ცდილობდა საჩივარი გაეხმო მშობელს.

განცხადებაში მოყვანილია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც თვლის რომ დაირღვა და ბავშვის უფლება შეილახა. შესაბამისად, ცენტრს მიმართა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწიებული ღონისძიებების განხორციელების თხოვნით.

განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს ვიზტის დღის წესრიგი. დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
170	131

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული გეგმის გაზიარების ორიგინალური მექანიზმის არსებობა. კერძოდ, სკოლის შესასვლელშივე, დერეფანის მთელს კედელზე წარმოდგენილია სკოლის მიერ განხორციელებული SWOT ანალიზი და შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმის ამგვარი გაზიარებით უზრუნველყოფილია მისი ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვიზიტორებითვის, რომლებიც სკოლას ეწვევიან და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული მეთოდით გაზიარება ხაზს უსვამს სასკოლო მართვის პროცესების გამჭვირვალობას და სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის ღიაობას. ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებისა მშობლების ინფორმირებულობას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ და სკოლის კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობას, თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ხაზს უსვამს იმას, რომ სკოლა ორიენტირებულია განითარებაზე და წარმატებაზე და აუმჯობებსებს სკოლის იმიჯს საზოგადოების თვალში.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

- სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი მე-3 სტანდარტის 3.6.3.5 ინდიკატორთან და მე-4 სტანდარტის 4.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, რის შედეგადაც აღნიშნული ინდიკატორი **შეფასდა როგორც „შეესაბამება";**
- მესამე სტანდარტის ინდიკატორი 3.4.1.6 **შეფასდა როგორც მეტწილად „შეესაბამება";**
- **მე-3 და მე-4 სტანდარტების რიგ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასდა როგორც „არ შეესაბამება".** ეს ინდიკატორებია: მე-3 სტანდარტთან მიმართებით: 3.3.1.3; 3.6.2.1; 3.6.2.2; 3.6.2.4, ხოლო მე-4 სტანდარტთან მიმართებით: 4.1.1.1 და 4.1.2.2.

სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული გამომდინარე იქედან, რომ რიგ შემთხვევებში, საჩივრის შინაარსთან მიმართებით სახეზე იყო წარსულში დამდგარი ფაქტები ხარვეზების სახით, რომელთა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გამოსწორებსაც მოცემულ შემთხვევაში არ არის თავსებადი დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის არსთან და პრინციპებთან. რიგ შემთხვევებში კი არ იქნა წარმოდგენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის საკმარისი მტკიცებულებები. კერძოდ:

ინდიკატორი N3.3.1.3 - სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ხარვეზი: <u>სკოლის მიერ დადგენილი საჩივრების განხილვის სისტემა არ არის სრულყოფილი, კანონმდებლობის შესაბამისი, საჩივრების განხილვის პროცედურა არ არის დაცული და სკოლა ვერ უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის გარანტიას სათანადო გასაჩივრების მექანიზმების არარსებობის გამო.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია და ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა განახლებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, ხარვეზის დადგენა, აცილება, განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა, საჩივრთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, განცხადებაზე/საჩივარზე უარის თქმა,

პირადი მონაცემების დაცვა, საჩივრის განხილვის წესი, უფლების დარღვევა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შესაბამისად, სკოლამ მონიტორინგის განხორციელების შემდგომ შეიმუშავა კანონმდებლობის შესაბამისი შიდა მარეგულირებელი წესი და დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასევე მიუთითა, რომ მშობლის 2024 წლის 13 სექტემბრის საჩივარზე, რომლითაც მშობელი კატეგორიულად მოითხოვდა სკოლის მხრიდან არაკანონიერ მოქმედებას, კერძოდ: სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების გაუქმებას და მოსწავლის მიერ მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლას, ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდგომაც დაადგინა, რომ საჩივარში წარმოდგენილი მოთხოვნები მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს, საჩივარს გასული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა, აღნიშნული საფუძვლით საჩივარი გადაკვალიფიცირდა განცხადებაში და საჩივრის ავტორის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ გახდა საჭირო.

სკოლამ მშობელს მატერიალურად გაუგზავნა პასუხი, რომელშიც მითითებული იყო ის მტკიცებულებები, რის საფუძველზეც მშობელი წინააღმდეგობაში მოდიოდა მის მოთხოვნებთან. რაც ნიშნავდა საჩივარზე უარის თქმას. **ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა აღნიშნულ ნაწილში სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი გარემოებების გამო:**

ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანი იყო კონკრეტული საჩივრის განხილვის პროცედურის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. საჩივრის წარდგენის დროს სკოლის მოქმედი შიდა რეგულაციით, ადმინისტრაციული წარმოება უნდა ჩაეტარებინა პარტნიორთა საერთო კრებას და ეწარმოებინა შესაბამისი დოკუმენტაცია. საჩივრის დასაშვებობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაც სწორედ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას წარმოადგენდა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია საჩივრის განცხადებად გადაკვალიფიცირების ნაწილშიც, რადგან ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებდა სკოლის შიდა მარეგულირებელი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი, ხოლო მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, შესაძლოა განეხორციელებინა სწორედ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც არ არსებობს. გარდა ამისა, 2024 წლის 13 სექტემბერს წარდგენილი საჩივრის განხილვა განხორციელდა იმ დროისთვის მოქმედი სზაკ-თან შეუსაბამო შიდა პროცედურის და სზაკ-ის დარღვევით. აღნიშნული წარმოადგენს დამდგარ ფაქტს, რომლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გამოსწორებსაც ამ შემთხვევაში არ არის თავსებადი მონიტორინგის პრინციპებთან.

ინდიკატორი 3.6.2.1 - სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ხარვეზი: <u>სკოლას არ აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი და სკოლის შიდა რეგულაცია არ მოიცავს ყველა იმ ტიპის დოკუმენტის კლასიფიცირებას და რეგისტრაციას, რომელიც სკოლაში ფაქტობრივად იწარმოება.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისობის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია და ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა განახლებული საქმისწარმოების წესი, რომელშიც აღმოფხვრილია დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზები. კერძოდ, საქმისწარმოების ახალი წესი ითვალისწინებს სკოლაში საქმისწარმოებას სკოლის ელექტრონული სისტემისა და მატერიალური ფორმით. დეტალურად არის განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც იწარმოება საქმისწარმოების პროცესში. სკოლამ გაითვალისწინა შენიშვნები და განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებით და საქმის წარმოების წესით დაარეგულირა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განცხადების/საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და ხარვეზის დადგენა.
ასევე, სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებში უთითებს, რომ მშობლის 2024 წლის 4 ოქტომბერის განცხადებაზე, სადაც განმეორებით ითხოვდა 2024 წლის 13 სექტემბრის საჩივართან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლას წერილზე პასუხი არ გაუცია, რადგან იდენტურ წერილზე სკოლას უკვე ჰქონდა პასუხი გაგზავნილი. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა აღნიშნული პოზიცია, ვინაიდან დაწესებულება ვალდებულია ნებისმიერ განცხადებაზე მოახდინოს სათანადო რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასების საგანს წარმოადგენდა სკოლის მიერ საქმისწარმოების პროცესის განხორციელების შესწავლა დადგენილი შიდა წესისა და სზაკ-ის შესაბამისად, საქმისწარმოების კონტექსტში. მშობლის განმეორებით განცხადებაზე სკოლის მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობა წარმოადგენს განცხადების განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცესის ხარვეზს და წარსულში დამდგარ ფაქტს.

ინდიკატორი 3.6.2.2 - სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ხარვეზი: <u>სკოლა საქმიანობის პროცესში არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.</u>
სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნვეოყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულხ ხარვეზთან დაკავშირებით.
სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მიუთითა, რომ ამჟამად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას და როგორც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადით ირკვევა, სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.
სკოლას არ წარმოუდგენია ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ექსპერთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეემოწმებინა სკოლა ამჟამად პრაქტიკაში იყენებს თუ არა აღნიშნულ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

ინდიკატორი 3.6.2.4 - სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ხარვეზი: <u>სკოლა დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და არ თანამშრომლობს მათთან.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულხ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აქტივობების გრაფაში განმარტა, რომ 2024 წელს 2 - ჯერ (წერილი 4/56, 02.04.2024 წ.) და (წერილი 4/120, 29.10.2024 წ.) მიმართა ცენტრს სახელის ცვლილების შესახებ და წარმოადგინა წერილები.

როგორც 2024 წლის 02 აპრილის წერილით დგინდება, სკოლას ცენტრში წერილი გაგზავნილი აქვს ცენტრის წერილის საპასუხოდ, არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ცვლილების ინფორმირების მიზნით, არამედ, საბავშვო ბაღის სახელწოდებისა და ბაღის საქმიანობის სფეროს დადასტურების მიზნით. რაც შეეხება 2024 წლის 29 ოქტომბრის წერილს, ირკვევა, რომ აღნიშნული წერილიც ეხება ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში იურიდიული პირის ინფორმაციაში მითითებული სახელწოდებისა და მისამართის დასახელებას და არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ცვლილების შესახებ ინფორმირებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული წარმოდგენილი დოკუმენტები როგორც ხარვეზის არარსებობის/აღმოფხვრის მტკიცებულება.

სკოლამ ასევე წარმოადგინა განმარტება, რომლის თანახმადაც, მოსწავლის გაცდენების მიზეზი კარგად იყო ცნობილი მოსწავლის ოჯახის წევრებისათვის, ვინაიდან, ბებიასთან, რომელიც იყო სკოლის მასწავლებელი, ჰქონდა ყოველდღიური კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე. ასევე, სკოლა უთითებს, რომ აღნიშნულ მოსწავლეს ზედიზედ 20 სასწავლო დღე არ გაუცდენია. მომხდარი ფაქტის (სააღდგომო არდადეგები) შემდგომ მოსწავლე გამოცხადდა მხოლოდ ერთხელ სასწავლო პროცესის დაწყებიდან (2024 წ. 7 მაისი) მე-10 დღეს - 2024 წლის 20 მაისს. ამის შემდგომ სასწავლო პროცესის დასრულებამდე მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა. ეს პერიოდი კი არ შეადგენდა 20 სასწავლო დღეს. სკოლა ასევე განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ სკოლას არ ავალდებულებს მიმართოს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს საკითხის მოგვარების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით. სკოლა განმარტავს, რომ ამის მიუხედავად, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის და მოსწავლის ბებიას შორის შედგა საუბარი ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით და სკოლის დირექტორმა მოსწავლის ბებიას შესთავაზა ფსიქოლოგიური სამსახური, რაზეც ბებიამ უპასუხა, რომ ფსიქოლოგიც და სოცმუშაკიც უკვე ჩართულნი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია მოსწავლის გაცდენების გამო მანდატურის სამსახურს სოციალური მუშაკის ჩართვის ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული ვალდებულება სკოლას აქვს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მის საფუძველზე შემუშავებული სკოლის შიდა ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესით'' . რაც შეეხება მოსწავლის მიერ 20 სასწავლო დღის გაცდენას, მე-11 კლასში სასწავლო პროცესი 2023-2024 სასწავლო წელს დასრულდა 14 ივნისს. ამასთანავე, გასაუბრებისას მასწავლებლებმა და დირექციამ დაადასტურეს, რომ 2024 წლის 20 მაისს მოსწავლე გამოცხადდა არა გაკვეთილებზე, არამედ ბოლო ზარის ღონისძიებაზე, შესაბამისად, ის არ ჩართულა სასწავლო პროცესში და 2024 წლი 20 მაისი გაცდენილს სასწავლო დღედ ეთვლებოდა. 2024 წლის 7 მაისს სასწავლო პროცესზე გამოცხადების შემთხვევაშიც კი 2024 წლის 14 ივნისამდე გასული იყო 20 სასწავლო დღე.

ინდიკატორი 4.1.1.1 - სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
ხარვეზი: <u>სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.</u>

მოსწავლის უფლებების უგულებელყოფაც წარმოადგენს ბავშვზე ძალადობის ფორმას. ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად და რეფერირების შიდა ინსტრუქციაზე დაყრდნობით, **დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, სკოლას უნდა განეხორციელებინა ღონისძიებები ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეფერირები მიზნით, რაც არ შეუსრულებია.** სკოლის განმარტებით, როდესაც დირექციისთვის ცნობილი გახდა ბავშვთან დაკავშირებული ძალადობის ინციდენტის შესახებ, უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისად, საჭიროდ არ ჩათვალა მიემართა რეფერირების პროცედურებისთვის.
დასკვნის პროექტში ასახულ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზთან მიმართებით მიუთითა, რომ სკოლა არ უგულებელყოფს მოსწავლის უფლებებს და რომ სკოლას არ ჰყავს და არ ჰყოლია ძალადობის მსხვერპლი მოსწავლე. მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვზე ძალადობას არ ჰქონია ადგილის სკოლაში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ეჭვის შემთხვევაშიც კი, სკოლამ უნდა აწარმოოს ფაქტის შესწავლა, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი. ამ შემთხვევაში სკოლისათვის რეფერირების პროცედურების განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მოსწავლის მხრიდან სკოლაში არ გამოცხადება და სასწავლო წლის განმავლობაში არარეგულარულად სიარული, რაც შესაძლოა ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე მიუთითებდეს იმის გათვალისწინებით, რომ განათლების უფლების უგულებელყოფაც ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც სკოლისათვის ცნობილი გახდა

სკოლის გარეთ მომხდარი ბავშვთან დაკავშირებული ძალადობის ინციდენტის შესახებ, სკოლის მხრიდან არ მოჰყოლია ის რეაგირება, რაც მას თავის მხრივ ევალებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სკოლას არ ჰქონდა დეტალური და დაზუსტებული ინფორმაცია თუ რა ღონისძიებები ხორციელდებოდა სკოლის გარეთ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შედეგების შესამსუბუქებლად. სკოლა ფლობდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც ბავშვის წარმომადგენელმა ზეპირად მიაწოდა მას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.1.2.2 სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
ხარვეზი: <u>სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.</u>

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ითვალისწინებდა მოსწავლის გაცდენების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას და განსაზღვრული იყო გაცდენებზე დამრიგებლისა და სკოლის წერილობითი რეაგირების ვადები, სკოლას არ განუხორციელებია სათანადო პროცედურები კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით.
სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით, ასევე 2023-2024 სასწავლო წლის ჟურნალის excel-ის ცხრილების შესწავლით დადგინდა, რომ საჩივარში მოხსენიებული მე-11 კლასის მოსწავლე სისტემატიურად აცდენდა სკოლას პარასკევ დღეს, სასწავლო წლის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე კი, საერთოდ აღარ გამოცხადებულა სასწავლო პროცესზე და გაცდენებმა მიიღო სისტემატიური ხასიათი. მოსწავლის მიერ სკოლის ხანგრძლივი პერიოდით გაცდენას სკოლის, მათ შორის დამრიგებლის მხრიდან, არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლის მიერ გაცდენების შემთხვევაში მშობლის წერილობითი ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტები. კლასის დამრიგებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ მას წერილობით ინფორმაცია მშობლისთვის არ მიუწოდებია და აღნიშნული ახსნა იმით, რომ მოსწავლის ბებია, რომელსაც ბავშვი დაჰყავდა სკოლაში, ზეპირსიტყვიერად არაერთხელ იყო ინფორმირებული მოსწავლის გაცდენების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ (მოსავლის ბებია წარმოადგენს ცენტრში წარმოდგენილი განცხადების ავტორს). იმის გათვალისწინებით, რომ ბებიასთან კომუნიკაციას შედეგი არ მოჰყოლია, დამირებლის მხრიდან არ მომხდარა წერილობით დირექციისთვის მიმართვა მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. დამრიგებელმა აღნიშნული ახსნა იმით, რომ ბებიამ თავად განუცხადა დამრიგებელს, რომ მოსწავლე არ ივლიდა სკოლაში და აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლის დირექცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათი გაცდენის ინფორმირების შესახებ, რომელიც დათარიღებულია მაისით, თუმცა აღნიშნული ბარათი არ არის რეგისტრაციაში გატარებული. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სამსახურეობრივი ბარათი ინახებოდა დამრიგებლის პორტფოლიოში და კანცელარიაში არ დარეგისტრირებულა. საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მოსწავლე აცდენდა

სისტემატიურად, მთელი სემესტრის განმავლობაში, ხოლო პარასკევ დღეს - მუდმივად, მოსწავლის მიერ სკოლის სისტემატიურმა გაცდენამ კი გამოიწვია 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნად საგნის დაძლევის აუცილებლობა. სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით მშობლის წერილობითი ინფორმირებია ვერანაირი მტკიცებულება სასწავლო წლის განმავლობაში ვერცერთ პერიოდზე.

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია.

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაშიც ადასტურებს, რომ მე-11 კლასის ყოფილი მოსწავლე ბევრს აცდენდა. სასწავლო წლის დასრულების ბოლოს მოსწავლე 2024 წლის 7 მაისიდან 14 ივნისამდე სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ ერთხელ 2024 წლის 20 მაისს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლე სკოლაში გამოცხადების მიუხედავად არ ჩართულა სასწავლო პროცესში. აღნიშნული ინტერვიუს დროს დაადასტურეს სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებელმა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დარღვევა განხორციელდა გასულ სასწავლო წელს და წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

შედეგად, სტანდარტი 3 და სტანდარტი 4 შეფასდა როგორც „არ შეესაბამება".

<u>ვიზიტის აღწერილობა</u>

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, მათ შორის, უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების არსებობა და მათი განხორციელება;
- აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლის მხირდან სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის სისტემის არსებობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა;
- პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივად წარმართვა;
- სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმების და საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა;
- სკოლის საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, შემოწმდა დღის წესრიგსა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები, ინტერვიუ განორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექციასთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის განცხადების ავტორთან და მასწავლებლებთან.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის სხვა მნიშვნელოვანი მიგნებები და მათთან დაკავშირებულ საკითხები მოცემულია დასკვნის ძირითადი ნაწილის რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობაში.

<u>**განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა შემდეგი ფაქტები:**</u>

1. სკოლის სკოლის ყოფილი მოსწავლე, რომელსიც მოხსენიებულია ცენტრში შესულ განცხადებაში, 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ერონული სასწავლო

გეგმის მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით (მე-11 კლასი) რეგისტრირებულ იქნა სპეციალურ პროგრამაში. *აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი „2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში რეგისტრაციის შესახებ" შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის N3/16 ბრძანებით.*

2. განცხადებაში საუბარია, რომ დედა იძულებით მიიყვანეს სკოლაში და ისე დააწერინეს განცხადება, რომ შინაარსი მისთვის უცნობი იყო. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 19 ივნისს დათარიღებული განცხადება, რომელიც არის მშობლის მიერ ხელმოწერილი. *აღნიშნული განცხადებით მშობლის მიერ მოთხოვნილია ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებზე რეგისტრაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 10 საგანში.*

3. განმცხადებელი უთითებს, რომ სკოლის მხრიდან მიწოდებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების განრიგი მესენჯერის მეშვეობით, სკოლის თანამშრომლის მიერ, დასურათებული სახით და არა ბრძანებით დამტკიცებული, რასაც ითვალისწინებს ექსტერნის დებულება. *სკოლამ წარმოადგინა „2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ" შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის N3/17 ბრძანება. აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლას გამოცდების განრიგი განსაზღვრული ჰქონდა ბრძანებით.*

4. განცხადებაში აღნიშნულია, რომ განრიგის თანახმად, 10 საგანი ფორმალურად იყო გადანაწილებული 4 დღეზე, თუმცა რეალურად განაწილდა 2 დღეზე. *„2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ" შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის N3/17 ბრძანებით დასტურდება, რომ სკოლას გამოცდები გადანაწილებული ჰქონდა ბრძანებით 4 დღეზე, 2024 წლის 24 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით და დღის განმავლობაში მოსწავლეს უნდა ჩაებარებინა 3 გამოცდა. გამოცდის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 1,5 საათით და გამოცდებს შორის შესვენების დრო განსაზღვრული იყო 30 წთ.*

5. განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ სკოლა ფლობდა ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რაც ბავშვს ბოლო პერიოდში გადახდა და რითაც იყო გამოწვეული მისი გაცდენები სასწავლო წლის განმავლობაში. *სკოლის დირექციამ განაცხადა, რომ მათთვის ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა მაისის თვეში, თუმცა არა მოსწავლის მშობლის ან ოჯახის წევრებისგან, არამედ გარე წყაროებიდან.*

საგულისხმოა, რომ მოსწავლის სისტემატიურ გაცდენებს ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ფაქტამდეც. რაც შეეხება მოსწავლის დაზარალებულად ცნობის ფაქტს, აღნიშნული სკოლისთვის ცნობილი გახდა 2024 წლის 03 სექტემბერს მშობლის განცხადების საფუძველზე, ფოთის რაიონული პროკურატურისა (გაცემის თარიღი: 02.09.2024 წელი) და ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული (გაცემის თარიღი: 30.08.2024 წელი) ცნობების წარმოდგენის შემდგომ.

6. განმცხადებელი, ასევე აღნიშნავს, რომ სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს არ გააჩნდა ელექტრონული ჟურნალი. სკოლამ ელექტრონული ჟურნალი აამოქმედა სასწავლო წლის ბოლოს, მაისი-ივნისის თვეში და სწორედ მაშინ ჩაუწერა ბავშვს არები. განმცხადებელი უთითებს, რომ მასწავლებლები არ სარგებლობდნენ ელექტრონული ჟურნალით, 2023-2024 სასწავლო წელს არცერთი მშობელი არ იყენებდა ელექტრონულ ჟურნალს და ასე დაუდგინეს მოსწავლეს ექსტერნი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მშობლის მხრიდან გამოთხოვილ იქნა ელექტრონული ჟურნალიდან ამონაწერი, რის საფუძველზეც დადგინდა ექსტერნი, თუმცა სკოლამ ასლი დედანთან შესაბამისობაში ვერ წარმოადგინა და დირექტორმა თავისი ხელით შედგენილი და ჩაწერილი არები გამოაგზავნა. *აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ელექტრონული ჟურნალის მონაცემები excel-ის ცხრილით, რომლითაც დასტურდება, რომ ელექტრონული ჟურნალით სკოლა სარგებლობდა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად. აღნიშნულის დასტურდა სკოლამ ასევე წარმოადგინა ელექტრონული ჟურნალის პროგრამის შესყიდვის თაობაზე შპს „Edu Page"-თან გაფორმებული ხელშეკრულებაც, რომელიც დათარიღებულია 2021 წლის 21 აგვისტოთი და მოქმედებდა 2024 წლის 01 აგვისტომდე, იქამდე, ვიდრე ახალ შემსრულებელთან არ გააფორმა სკოლამ ხელშეკრულება.*

7. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო იგი დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს. რეფერირების წესი და მოქმედი კანონმდებლობა კი სკოლას ავალდებულებდა მოსწავლის გაცდენები ჩაეთვალა საპატიოდ. განმცხადებელი ასევე წერს, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია მიზეზები, რომლის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენა ჩათვალოს საპატიოდ. კერძოდ, საპატიოდ ჩაითვლება გაცდენა, რომელიც გამოწვეულია: მოსწავლის ავადმყოფობით, სამედიცინო გამოკვლევეით, მოსწავლის ვალდებულებით გამოცხადდეს ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. *აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 21 ნოემბრამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა გაცდენების საპატიოდ ჩათვლას, თუმცა არა იმ საფუძვლით, რასაც განმცხადებელი უთითებს, არამედ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში. ამ შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დირექტორის უფლებამოსილებას მიეღო გადაწყვეტილება კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის პირობების გაუვრცელებლობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2023 წლის 21 ნოემბერს*

განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმა აღარ ითვალისწინებს გაცდენების საპატიოდ ჩათვლის რეგულაციას და საფუძვლებს. არც რეფერირების წესი და არც სხვა მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკოლის არც უფლებამოსილებას და არც ვალდებულებას რაიმე საფუძვლით გაცდენების საპატიოდ ჩათვლასთან დაკავშირებით.

8. განმცხადებელი ასევე უთითებს, რომ მშობლის მიერ სკოლაში 2024 წლის 13 სექტემბერს წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივრით მოთხოვნილ იქნა ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ბრძანებების ბათილად ცნობა და მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლა. ამასთან, ზოგადი ადმინისტარციული კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნილ იქნა მშობლის, როგორც დაინტერესებული მხარის, საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევა/ჩართვა, რაზეც განმცხადებელი უთითებს, რომ სკოლას აღნიშნული არ განუხორციელება. *ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სკოლის მიერ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დადგინდა, რომ სკოლას ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია სკოლის შიდა საჩივრის განხილვის პროცედურისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.*

9. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლამ ჩუმად მოიწვია მშობელთა კრება მშობლის (იგულისხმება განმცხადებლის მარწმუნებელი) გაფრთხილების გარეშე და კრებაზე განიხილა ბავშვის მდგომარეობა. *აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ამავე კლასის მშობლებთან და კლასის დამრიგებელთან ცალ-ცალკე ჩატარდა ინტერვიუ, რომლის დროსაც მათ არ დაადასტურეს მშობელთა კრებაზე რაიმე სახის პირადი თუ პერსონალური ინფორმაციის განხილვის/გამჟღავნდების ფაქტი.*

10. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მშობელმა სკოლას კვლავ მიმართა წერილით 2024 წლის 4 ოქტომბერს, რაზეც სკოლას პასუხი არ გაუცია, მშობლის წარმომადგენელს კი სატელეფონო საუბარში განუცხადა, რომ პასუხს აუცილებლად გაუგზავნიდა. *სკოლის დირექციამ დაადასტურა, რომ მას მშობლის 2024 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაზე პასუხის არ გაუცია, რითაც დაარღვია განცხადებაზე რეაგირების ვადები და წესი.*

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელების პროცესში სკოლის მიერ დადგენილი საჩივრების განხილვის სისტემა არ იყო სრულყოფილი, კანონმდებლობის შესაბამისი, საჩივრების განხილვის პროცედურა არ იყო დაცული და სკოლა ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის გარანტიას სათანადო გასაჩივრების მემქანიზმების არარსებობის გამო. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**

ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას არ მოუხდენია რეაგირება მშობლის 2024 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაზე, რითაც დაარღვია განცხადებაზე რეაგირების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადა და პროცედურა. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**
ინდიკატორი N3.6.2.2	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა	სკოლა საქმიანობის პროცესში არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**
ინდიკატორი N3.6.2.4	სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან	**სკოლა დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და არ თანამშრომლობს მათთან, რაც გამოიხატა შემდეგი:** 1. სკოლას არ უცნობებია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის სახელის ცვლილების შესახებ. 2. სკოლას არ მიუმართავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის საკითხის მოგვარების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვის მიზნით. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*

ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	**სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა, რაც მდგომარეობს შემდეგში:** სკოლას არ განუხორციელებია ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეფერირები მიზნით საჭირო ღონისძიებები. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**
ინდიკატორი N4.1.2.2	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;	სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. **(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.04.2025-მდე) უზრუნველყოს:*** *1. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების თანხმობების მოპოვება, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად იმ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელთა დამუშავებისთვისაც აუცილებელი სუბიექტის თანხმობა;* *2. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მკაფიოდ დანართის სახით გამიჯნოს პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული თანხმობის განაცხადის მუხლის შინაარსი, შემუშავებული თანხმობის განაცახდის იდენტურად, ცალკე ხელმოწერის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანხმობის გაცემის ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვა.*

V. რჩევები

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას **მიეცა რჩევა,** კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	*სკოლას **მიეცა რჩევა,** ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებში უფრო ნათლად გაწეროს წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების რეგულაცია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33[2] მუხლის დაცვით.*
ინდიკატორი N4.1.2.2	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;	*სკოლას **მიეცა რჩევა,** მოსწავლის პირადი საქმეში შეავსოს ყველა სავალდებულო ინფორმაცია.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლა, როგორც ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში გვევლინება ადმინისტრაციულ ორგანოდ და მასზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (სზაკ). სზაკ-ის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კოდექსი განსაზღვრავს **ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის,** ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა'' პუნქტის თანახმად, კი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე **ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.** სკოლას შესაძლებელია ჰქონდეს განცხადების/საჩივრის განხილვის შიდა სისტემა, თუმცა აღნიშნული სისტემა არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სზაკ-თან და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უნდა ითვალისწინებდეს მის სავალდებულო მოთხოვნებს.

სკოლაში მოქმედი საჩივრების განხილვის სისტემის კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა მიერ, სკოლაში ვიზიტის ეტაპზე, გამოთხოვილ იქნა საჩივრების განხილვის შიდა რეგულაციები. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღეს წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. დოკუმენტის შესწავლით დადგინდა, რომ **იგი არეგულირებდა განცხადების/საჩივრის სკოლაში წარდგენის, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ზოგად პროცედურებს და მასში არ იყო გაწერილი დეტალური რეგულაციები, როგორიცაა განცხადები/საჩივრის რეგისტრაციის პროცედურა, ხარვეზის დადგენის ვადები, განხილვის პროცედურა, გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.** წარმოდგენილი შიდა პროცედურის თანახმად, საჩივრის წარდგენა უნდა განხორციელებულიყო მატერიალურად სკოლის მისამართზე, ფოსტის საშუალებით ან განცხადების ფორმის საშუალებით ელექტრონულად მომხდარიყო კვალიფიციური ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში. საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო დროულად, სამართლიანად და

თანმიმდევრულად. შიდა წესი, განცხადების/საჩივრის წარდგენის უფლებას ანიჭებდა მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებელს, სხვა თანამშრომელსა ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ასევე, განსაზღვრული იყო თუ რას უნდა მოიცავდეს განცხადება/საჩივარი, რომელიც უნდა წარედგინოს დირექტორს, ხოლო თუ განმცხადებელი ასაჩივრებს დირექტორის ქმედებას - დამფუძნებელს (პარტნიორთა საერთო კრებას).

2024 წლის 13 სექტემბერს, მშობელი ასაჩივრებდა დირექტორის ბრძანებებს კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ და 2023-2024 სასწავლოს წლის განმავლობაში მოსწავლის მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში რეგისტრაციის შესახებ, ითხოვდა მათ ბათილად ცნობას და 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლის გაცდნების საპატიოდ ჩათვლას, საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ექსპერტთა მიერ აღნიშნული ბრძანებების შესწავლით დადგინდა, რომ ბრძანებები გამოცემული იყო 2024 წლის ივნისში, ხოლო ამავე ბრძანებების მე-4 პუნქტის თანახმად, ისინი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარდგენილი იყო დირექტორის სახელზე, 2024 წლის 13 სექტემბერს. ვინაიდან დირექტორის საპასუხო წერილით დგინდება, რომ არ უცნობებია განმცხადებლისთვის გასაჩივრების ვადის ხანდაზმულობის შესახებ, სკოლის მიერ საჩივარი წარმოებაში მიღებულად ჩაითვალა და დირექტორის ნაცვლად აღნიშნული საჩივარი სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების შიდა წესის შესაბამისად უნდა განეხილა არა დირექტორს, არამედ პარტნიორთა საერთო კრებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში შეფასდა, რომ საჩივარი წარდგენილი იყო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და არ იყო დადასტურებეული კვალიფიციური ხელმოწერით, როგორც ამას ითვალისწინებდა სკოლის შიდა მარეგულირებელი წესი და სკოლას არ დაუდგენია ხარვეზი. თუმცა, სკოლამ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში დააზუსტა, რომ საჩივარი სკოლას ჩაბარდა მატერიალური სახით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი საჩივრის განხილვის პროცედურა ადგენდა, რომ მოკვლევის პროცესის ამსახველი წერილობითი მასალა უნდა შენახულიყო მიმდინარე სასწავლო წლის პერიოდში, თუმცა **სკოლამ ვერ წარმოადგინა საჩივრის განხილვის დამადასტურებელი წერილობითი მასალა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გასული აღნიშნული ვადა. ცენტრში წარმოდგენილ განცხადებაში დაფიქსირებულია, რომ არ მომხდარა საჩივრის ავტორის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, მაშინ როდესაც, საჩივარში დაყენებული იყო მოთხოვნა, რომ საჩივრის განხილვის პროცესში, როგორც დაინტერესებული მხარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ჩართული ყოფილიყო საჩივრის ავტორი. სზაკ-ის 95-ე მუხლის თანახმად,** თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ხოლო 194-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, რაც

დარღვეულ იქნა სკოლის მხრიდან. გარდა ამისა, საჩივრების განხილვის შიდა წესის თანახმად, საჩივრის განმხილველი პირის/ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს შეხვედრა იმ პირთან/პირებთან, რომელთა წინააღმდეგაც/რომელთა ქმედებასთან/უმოქმედობასთან დაკავშირებითაც აღიძრა საჩივარი და საჭიროების შემთხვევაში, იმ პირთან/პირებთანაც, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საკითხთან/ინციდენტთან (შეხვედრაზე მათ შესაძლოა თან ახლდეთ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელი). აღნიშნული ჩანაწერით დგინდებოდა, რომ საჩივრების განხილვის პროცესში შეხვედრების ჩატარება და მხარეთა ჩართულობა წარმოადგენდა სკოლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, რაც უფლებას ართმევდა დაინტერესებულ პირს მიეღო მონაწილეობა საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამგვარი დათქმა ქმნიდა მხარეების უფლებების დარღვევის რისკს საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების კუთხით, ვინაიდან ეჭვქვეშ აყენებდა გადაწყვეტილების მიუკერძოებლად, ობიქტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით მიღების ფაქტს.

რაც შეეხება სკოლის მიერ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების ვადას, სკოლის მიერ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილი, სკოლის მიერ დადგენილი შიდა წესით, საჩივრის წარდგენის შემდეგ, საკითხის მოკვლევისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა შეადგენდა 15 სამუშაო დღეს. საჩივარი წარდგენილი იყო 2024 წლის 13 სექტემბერს, ხოლო სკოლის პასუხი დათარიღებული იყო 2024 წლის 30 სექტემბრით, რაც ნიშნავს, რომ საჩივრის განხილვის ვადა არ იყო დარღვეული სზაკ-ის მე-100 მუხლთან მიმართებითაც.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი", ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა განახლებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, ხარვეზის დადგენა, აცილება, განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა, საჩივრთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, განცხადებაზე/საჩივარზე უარის თქმა, პირადი მონაცემების დაცვა, საჩივრის განხილვის წესი, უფლების დარღვევა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შესაბამისად, სკოლამ მონიტორინგის განხორციელების შემდგომ შეიმუშავა კანონმდებლობის შესაბამისი შიდა მარეგულირებელი წესი და დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოფხვრა. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასევე მიუთითა, რომ მშობლის 2024 წლის 13 სექტემბრის საჩივარზე, რომლითაც მშობელი კატეგორიულად მოითხოვდა სკოლის მხრიდან არაკანონიერ მოქმედებას, კერძოდ: სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების გაუქმებას და მოსწავლის მიერ მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლას, ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდგომაც დაადგინა, რომ საჩივარში წარმოდგენილი მოთხოვნები მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს, საჩივარს გასული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა, აღნიშნული საფუძვლით საჩივარი გადაკვალიფიცირდა განცხადებაში და საჩივრის ავტორის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ გახდა საჭირო.

სკოლამ მშობელს მატერიალურად გაუგზავნა პასუხი, რომელშიც მითითებული იყო ის მტკიცებულებები, რის საფუძველზეც მშობელი წინააღმდეგობაში მოდიოდა მის მოთხოვნებთან. რაც ნიშნავდა საჩივარზე უარის თქმას. ***ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა აღნიშნულ ნაწილში სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი გარემოებების გამო:***

ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანი იყო კონკრეტული საჩივრის განხილვის პროცედურის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. საჩივრის წარდგენის დროს სკოლის მოქმედი შიდა რეგულაციით, ადმინისტრაციული წარმოება უნდა ჩაეტარებინა პარტნიორთა საერთო კრებას და ეწარმოებინა შესაბამისი დოკუმენტაცია. საჩივრის დასაშვებობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაც სწორედ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას წარმოადგენდა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია საჩივრის განცხადებად გადაკვალიფიცირების ნაწილშიც, რადგან ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებდა სკოლის შიდა მარეგულირებელი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი, ხოლო მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, შესაძლოა განეხორციელებინა სწორედ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც არ არსებობს. გარდა ამისა, 2024 წლის 13 სექტემბერს წარდგენილი საჩივრის განხილვა განხორციელდა იმ დროისთვის მოქმედი სზაკ-თან შეუსაბამო შიდა პროცედურის და სზაკ-ის დარღვევით. აღნიშნული წარმოადგენს დამდგარ ფაქტს, რომლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გამოსწორებსაც ამ შემთხვევაში არ არის თავსებადი მონიტორინგის პრინციპებთან. *შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.*

ამრიგად, დადგინდა, რომ საჩივრის განხილვის დრო მოქმედი სკოლის მიერ დადგენილი საჩივრების განხილვის სისტემა არ იყო სრულყოფილი, კანონმდებლობის შესაბამისი, საჩივრების განხილვის პროცედურა არ იყო დაცული და სკოლამ ვერ უზრუნველყო თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის გარანტია სათანადო გასაჩივრების მემქანიზმების არარსებობის გამო.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადების/საჩივრის განხილვის შიდა პროცედურა.
- ,,2023-2024 სასწავლოს წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ'' შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის N3/19 ბრძანება;
- ,,2023-2024 სასწავლოს წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში რეგისტრაციის შესახებ'' შპს აინშტაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის N3/16 ბრძანება;

- მშობლის 2024 წლის 13 სექტემბრის საჩივარი;
- სკოლის 2024 წლის 30 სექტემბრის პასუხი საჩივარზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლის 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სკოლა, მრჩეველთა საბჭოს საშუალებით, გეგმავს სკოლაში უსაფრთხოებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისთვის რეკომენდაციების შემუშავებასა და პროექტების ორგანიზებას.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლა მოსწალეებს აწვდის საჭირო ინფორმაციას და ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერს. გარდა ამისა, ბავშვის რეფერირების პროცედურების უზრუნველსაყოფად, სკოლას

დამტკიცებული აქვს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო წესი და განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლემ, რომელთანაც განხორციელდა ინტერვიუ, დაადასტურა, რომ კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან ატარებენ საგანმანათლებლო- საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, რომელზეც საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი და სხვა. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია ისეთი თემები, რომელთა განხილვაც ორიენტირებულია მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნულ, მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე. სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ტელეფონის ნომერი. ასევე, მშობლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სკოლას აქვს ფსიქოლოგის მოწვევის და მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. დერეფნის კედლებსა თუ საკლასო სივრცეებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათთვის მამოტივირებელ და პოზიტიურ გარემოს ქმნის.

ცენტრში წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლას, რომლის მიზანიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო, მოსწავლის მდგომარეობაზე არ უფიქრია და მოსწავლის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექციამ განაცხადა, რომ მოსწავლესთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ, მაისისა და ივნისის თვეში ბავშვი სკოლაში არ დადიოდა, შესაბამისად, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეთავაზებინა ფსიქოლოგის მომსახურება. მოსწავლე სკოლაში გამოცხადდა 2024 წლის 20 მაისს ბოლო ზარის დღეს და მასთან შეხვედრა არაფორმალურ გარემოში იყო პოზიტიური.

სასკოლო გარემოსა და სკოლის შიდა პოლიტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობას. შესაბამისად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავდა შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებსა და პროცედურებს და ამასთანავე, უზრუნველყოფდა დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებდა დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდებოდა სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. აღნიშნულ წესში გაწერილი იყო მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტები და კატეგორიები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.

მოსწავლის პერსონალურ მონაცემების მშობლის თანხმობით დამუშავების მიზნით, სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი გათვალისწინებული ჰქონდა მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თუმცა, აღნიშნული *თანხმობა არ შეესაბამებოდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, წერილობითი თანხმობის კრიტერიუმებს. კერძოდ, მასში არ იყო გაწერილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შემთხვევაში კონკრეტულად რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება, რითაც ირღვეოდა გამჭვირვალობს პრინციპი. ასევე, მუხლში არ იყო განმარტებული თანხმობის გამოხმობის უფლება და აღნიშნული მუხლი არ იყო გამოყოფილი ხელშეკრულების ძირითადი ტექსტიდან, რაც თანხმობის გაცემის ნებაყოფლობითობის პრინციპს არღვევდა.*

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორთან გასაუბრებისას მან განაცხადა, რომ ოფიცრის მოვალეობას თავად ითავსებს. სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალუ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება და არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის განუხორციელებია ოფიცრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლას <u>მიეცა რჩევა,</u> კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველყოფის გეგმა, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა ახალი ,,პერსონალუ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი შიდა მარეგულირებელი მექანიზმები და პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე მოსაპოვებელი თანხმობის ფორმები. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზრვრა 23.12.2024-30.04.2025 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად.

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,მეტწილად" შესაბამისი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ,,მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების თანახმად, სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს და ექიმს. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომლის ადმინისტრირებაზე წვდომაც მხოლოდ შესაბამისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით აქვთ შესაბამის თანამშრომლებს. რაც შეეხება სკოლის დოკუმენტაციას, რომელიც

შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, დაცულია და ინახება კაცელარიაში 5 წლის ვადით. 5 წლის შემდეგ კი - სკოლის არქივში. ასევე, სკოლა სარგებლობს ელექტრონული სისტემებით, რომლებიც დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით.
გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლის მიერ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის საკითხზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ცენტრში წარმოდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტის განილვა. კერძოდ, განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ ბავშვთან დაკავშირებით დაფიქსირებული ინციდენტის განხილვა მშობელმა განახორციელა მოწვეულ მშობელთა კრებაზე. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, გასაუბრება ჩატარდა როგორც კლასის მშობლებთან ასევე კლასის დამრიგებელთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მშობელთა კრება ჩატარდა მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს განსახორციელებელ და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ დასტურდება მოსწავლესთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭო;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო წესები;
- რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- ინტერვიუ თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, დოკუმენტბრუნვის წარმოების პროცესის დასარეგულირებლად სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესის თანახმად, მატერიალური საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებდა საქმისმწარმოებელი.

საქმისწარმოების წესის თანახმად, სკოლა აწარმოებდა შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. ბრძანება შინაარსის მიხედვით იყოფოდა სამ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები, მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის, ჩარიცხვის/გარიცხვის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები. გამოცემული ბრძანებებისა და სერეგისტრაციო ჟურნალების გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლა აწარმოებდა სამ სარეგისტრაციო ჟურნალს და ბრძანებების გამოცემის ნაწილში სკოლის ფაქტობრივი საქმიანობა ემთხვეოდა საქმისწარმოების წესით დადგენილ რეგულაციას.

საქმისწარმოების წესის პირველი მუხლის 1.1. პუნქტით საქმიწარმოების წესის რეგულაციაში გათვალისწინებული იყო სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადება, გაფორმება, აღრიცხვა, გამოყენება და შენახვა, თუმცა, რეგულაცია არ მოიცავდა ყველა იმ ტიპის დოკუმენტის კლასიფიცირებას და რეგისტრაციას, რომელიც სკოლაში ფაქტობრივად იწარმოებოდა. კერძოდ:

- **გასულ დოკუმენტაციას მიეკუთვნება ცნობოდა და წერილი, თუმცა არ იყო განხილული თუ რა ტიპის დოკუმენტები მოიაზრებოდა შემოსულ დოკუმენტაციაში. ამ მხრივ განხილული იყო მხოლოდ შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის პროცედურა.**
- **წესში, ასევე, განსაზღვრული იყო ბრძანება, როგორც მმართველობითი დოკუმენტი, თუმცა მმართველობითი დოკუმენტი/ბრძანება რა სახის დოკუმენტს მიეკუთვნებოდა არ იყო იდენტიფიცირებული (მაგ: შიდა ან სხვა.).**
- **წესი, ასევე, არ არეგულირებდა რა სახის დოკუმენტს მიეკუთვნებოდა შრომითი ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ საქმისწარმოების წესი ითვალისწინებდა ამ ტიპის დოკუმენტების წარმოებას და აღრიცხვას.**
- **წესი არ ითვალისწინებდა რა სახის დოკუმენტს მიეკუთვნებოდა განცხადება ან საჩივარი და როგორი იყო მისი რეგისტრაციის წესი.**
- **სკოლის საქმისწარმოების წესით არ იყო განსაზღვრული ისეთი დოკუმენტების რეგისტრაციის საკითხი, როგორიცაა შიდა მიმოწერა, სამსახურებრივი ბარათები, ოქმები და ა.შ. არ იყო განსაზღვრული თუ რა სახის დოკუმენტს მიეკუთვნებოდა აღნიშნული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ვერ დაადასტურა მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით დამრიგებლის მიერ მომზადებული სამსახურებრივი ბარათის რეგისტრაციაში გატარება.**
- **საქმისწარმოების პროცესში შესწავლილ იქნა სკოლის მიერ შემუშავებული განცხადების/საჩივრის განხილვის წესიც, თუმცა არც აღნიშნული დოკუმენტით და არც საქმისწარმოების წესით არ იყო დარეგულირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განცხადების/საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და ხარვეზის დადგენა.**
- **სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი არ ითვალისწინებდა დოკუმენტაციის რეგისტრაციას აღნიშნული სისტემის გამოყენებით.**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა საჩივრის ავტორ მშობელთან მიმოწერა. მშობელმა სკოლას მიმართა რამდენიმეჯერ განცხადებით და საჩივრით. მშობლის 2024 წლის 3 სექტემბრის განცხადებაში ნახსენებია, რომ მას სკოლისთვის განცხადებით მიმართული აქვს 2024 წლის 21 აგვისტოს, რომელზეც პასუხი მშობელს 2024 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა მიღებული. აღნიშნულის გამო, მშობელმა სკოლას განცხადებით განმეორებით მიმართა 2024 წლის 3 სექტემბერს და კვლავ მოითხოვა 2024 წლის 21 აგვისტოს განცხადებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება (მოსწავლის გაცდენების შესახებ ამონაწერი). სკოლამ აღნიშნულ მოთხოვნაზე პასუხი მშობელს გაუგზავნა 2024 წლის 11 სექტემბერს. შესაბამისად, სკოლის რეაგირება 2024 წლის 21 აგვისტოს განცხადებაზე განხორციელდა 14 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო 3 სექტემბრის განცხადებაზე პასუხი გაცემულია 6 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ შემთხვევაში, სკოლას საქმისწარმოების პროცესში სზაკ-ის მე-100 მუხლით გათვალისწინებული განცხადებაზე რაგირების ვადები არ დაურღვევია. *აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 3 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების აღწერისას განმარტა, რომ მშობელს სკოლისთვის 2024 წლის 21 აგვისტოს განცხადებით არ მიუმართავს არც ელექტრონულად და არც მატერიალურად, როგორც ამას 2024 წლის 3 სექტემბრის განცხადებაში წერდა მშობელი.*

საგულისხმოა, რომ სზაკ-ით გათვალისწინებულ დღეებში მოიაზრება სამუშაო დღეები. **მშობელმა სკოლას კიდევ ერთხელ გაუგზავნა განცხადება 2024 წლის 4 ოქტომბერს, რაზეც სკოლას რეაგირება არ მოუხდენია და პასუხი განმცხდებლისთვის აღარ გაუგზავნია, რითაც დაარღვია სზაკ-ის მე-100 მუხლის მოთხოვნა.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა კლასის დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც რეგისტრაციაში გატარებულ იქნა სკოლის მიერ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, რაც ასევე წარმოადგენს საქმისწარმოების მექანიზმების დარღვევას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრისთვის შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი".

სკოლამ წარმოადგინა განახლებული საქმისწარმოების წესი, რომელშიც აღმოფხვრილია დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზები. კერძოდ, საქმისწარმოების ახალი წესი ითვალისწინებს სკოლაში საქმისწარმოებას სკოლის ელექტრონული სისტემისა და მატერიალური ფორმით. დეტალურად არის განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც იწარმოება საქმისწარმოების პროცესში. სკოლამ გაითვალისწინა შენიშვნები და განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებით და საქმის წარმოების წესით დაარეგულირა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განცხადების/საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და ხარვეზის დადგენა.

ასევე, სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებში უთითებს, რომ მშობლის 2024 წლის 4 ოქტომბერის განცხადებაზე, სადაც განმეორებით ითხოვდა 2024 წლის 13 სექტემბრის საჩივართან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლას წერილზე პასუხი არ გაუცია, ვინაიდან იდენტურ წერილზე სკოლას უკვე ჰქონდა პასუხი გაგზავნილი. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა აღნიშნული პოზიცია, ვინაიდან დაწესებულება ვალდებულია ნებისმიერ განცხადებაზე მოახდინოს სათანადო რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასების საგანს წარმოადგენდა სკოლის მიერ საქმისწარმოების პროცესის განხორციელების შესწავლა დადგენილი შიდა წესისა და სზაკ-ის შესაბამისად. მშობლის განმეორებით განცხადებაზე სკოლის მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობა წარმოადგენს განცხადების განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცესის ხარვეზს და წარსულში დამდგარ ფაქტს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სკოლამ არ დაიცვა სზაკ-ით გათვალისწინებული მოთხოვნები საქმისწარმოების პროცესში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ვებ-გვერდს, სოციალური ქსელის გვერდს და ელექტრონულ ფოსტას. სკოლა მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვისა და შეფასებისათვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.
სკოლამ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 01 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა შესაბამის ლიცენზირებულ კომპანიასთან, თუმცა, ელექტრონული სისტემაში რეგისტრაციის ნაცვლად, სკოლა დოკუმენტების რეგისტრაციისათვის ჯერ კიდევ მატერიალურ ჟურნალებს იყენებს. აღნიშნული სკოლის დირექტორმა დაადასტურა ინტერვიუს დროს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულხ ხარვეზთან დაკავშირებით. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი". სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მიუთითა, რომ ამჟამად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას და როგორც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადით ირკვევა, ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა. სკოლას არ წარმოუდგენია ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ექსპერთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეემოწმებინა სკოლა ამჟამად პრაქტიკაში იყენებს თუ არა აღნიშნულ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა ანგარიშვალდებულების ფარგლებში თანამშრომლობს ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.
ელექტრონული ჟურნალის მონაცემების გაცნობით, სკოლის მასავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებითა და ცენტრში შემოსული განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს XI კლასში ჰყავდა მოწავლე, რომელიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად აცდენდა სკოლას.
კანონმდებლობით დადგენილი წესით დამრიგებლის შეტყობინების საფუძველზე, სკოლაში მოსწავლის ზედიზედ 20 სასწავლო დღის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემდეგ, სკოლას ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულები მანდატურის სამსახურისთვის და საკითხის მოგვარების პროცესში უნდა ჩაერთო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი,

რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოფდა ოჯახში ვიზიტს გაცდენების მიზეზების დასადგენად. **სკოლას, კანონით დადგენილი წესით არ მიუმართავს და მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების პროცესში არ ჩაურთავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.**

გარდა ამისა, სკოლამ 2023 წელს შეიცვალა სახელწოდება. აღნიშნულ ცვლილებამდე სკოლის სახელი იყო - შპს გიმნაზია, ხოლო ცვლილების შემდგომ - შპს „აინშტაინის საერთაშორისო სკოლა". სკოლამ წარმოადგინა წერილები, რომლითაც დასტურდება, რომ ცვლილების შესახებ სკოლამ ინფორმაცია მიაწოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუმცა აღნიშნული **არ უცნობებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის, სადაც ინახება ინფორმაცია ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველეყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულხ ხარვეზთან დაკავშირებით. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა „მეტწილი". სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აქტივობების გრაფაში განმარტა, რომ 2024 წელს 2 - ჯერ (წერილი 4/56, 02.04.2024 წ.) და (წერილი 4/120, 29.10.2024 წ.) მიმართა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სახელის ცვლილების შესახებ და წარმოადგინა წერილები. როგორც 2024 წლის 02 აპრილის წერილით დგინდება, სკოლას ცენტრში წერილი გაგზავნილი აქვს ცენტრის წერილის საპასუხოდ, არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ცვლილების ინფორმირების მიზნით, არამედ, საბავშვო ბაღის სახელწოდებისა და ბაღის საქმისნობის სფეროს დადასტურების მიზნით. რაც შეეხება 2024 წლის 29 ოქტომბრის წერილს, ირკვევა, რომ აღნიშნული წერილიც ეხება ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში იურიდიული პირის ინფორმაციაში მითითებული სახელწოდებისა და მისამართის დასახელებას და არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ცვლილების შესახებ ინფორმირებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული წარმოდგენილი დოკუმენტები როგორც ხარვეზის არარსებობის/აღმოფხვრის მტკიცებულება.

სკოლამ ასევე წარმოადგინა განმარტება, რომლის თანახმადაც, მოსწავლის გაცდენების მიზეზი კარგად იყო ცნობილი მოსწავლის ოჯახის წევრებისათვის, ვინაიდან, ბებიასთან, რომელიც იყო სკოლის მასწავლებელი, ჰქონდა ყოველდღიური კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე. ასევე, სკოლა უთითებს, რომ აღნიშნულ მოსწავლეს ზედიზედ 20 სასწავლო დღე არ გაუცდენია. მომხდარი ფაქტის (სააღდგომო არდადეგები) შემდგომ მოსწავლე გამოცხადდა მხოლოდ ერთხელ სასწავლო პროცესის დაწყებიდან (2024 წ. 7 მაისი) მე-10 დღეს - 2024 წლის 20 მაისს. ამის შემდგომ სასწავლო პროცესის დასრულებამდე მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა, ეს პერიოდი კი არ შეადგენდა

20 სასწავლო დღეს. სკოლა ასევე განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ სკოლას არ ავალდებულებს მიმართოს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს საკითხის მოგვარების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით. სკოლა განმარტავს, რომ ამის მიუხედავად, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სკოლის დირექტორსა და მოსწავლის ბებიას შორის შედგა საუბარი ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით და სკოლის დირექტორმა მოსწავლის ბებიას შესთავაზა ფსიქოლოგიური სამსახური, რაზეც ბებიამ უპასუხა, რომ ფსიქოლოგიც და სოცმუშაკიც უკვე ჩართულნი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია მოსწავლის გაცდენების გამო მანდატურის სამსახურს სოციალური მუშაკის ჩართვის ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული ვალდებულება სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მის საფუძველზე შემუშავებული სკოლის შიდა ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესით". რაც შეეხება მოსწავლის მიერ 20 სასწავლო დღის გაცდენას, მე-11 კლასში სასწავლო პროცესი 2023-2024 სასწავლო წელს დასრულდა 14 ივნისს. ამასთანავე, გასაუბრებისას მასწავლებლებმა და დირექციამ დაადასტურეს, რომ 2024 წლის 20 მაისს მოსწავლე გამოცხადდა არა გაკვეთილებზე, არამედ ბოლო ზარის ღონისძიებაზე, შესაბამისად, ის არ ჩართულა სასწავლო პროცესში და 2024 წლი 20 მაისი გაცდენილ დღედ ეთვლებოდა. 2024 წლის 7 მაისს სასწავლო პროცესზე გამოცხადების შემთხვევაშიც კი 2024 წლის 14 ივნისამდე გასული იყო 20 სასწავლო დღე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ დასტურდება სკოლის მიერ საგანმანათლობლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან ინფორმაციის მიწოდებისა და თანამშრომლობის ფაქტი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების შიდა წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ხელშეკრულება;
- ვებ. გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი;

- ელექტრონული ჟურნალის მონაცემები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას აქვს ვებ. გვერდი - https://einsteinschool.ge/, რომელიც საიტიდანვე იძლევა სკოლასთან დაკავშირების საშუალებას. გარდა ამისა, სკოლის ვებ. გვერდზე მითითებულია სკოლის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. სკოლის ვებ.გვერდის გაცნობით დგინდება, რომ ისინი პერიოდულად ახდენენ მასალების განთავსებასა და გვერდის განახლებას, რათა საზოგადოებას მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაზე.
გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავდებლად. სკოლა მშობლებთან აქტიური და სწრაფი კომუნიკაციისათვის იყენებს ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს და ელექტრონულ ჟურნალს.
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის ვებ. გვერდზე, სოციალური ქსელის გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე/სკოლის კედლებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. მათ შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, სკოლას დერეფანში, კედლებზე ჰქონდა გამოკრული როგორც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი გარკვეული დოკუმენტები, ისე ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. მათ შორის, გამოკრული იყო კონსულტაციების ჩატარების განრიგი, გაკვეთილების ცხრილი და დერეფანში მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად გამოთქვამს მზადყოფნას, განიხილოს მათი ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენოს მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, დეკემბერსა და ივნისში მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით კი სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება. სკოლის ვებ-გვერდს აქვს საკომუნიკაციო ფუნქცია და ნებისმიერ ვიზიტორს აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს უკუკავშირი სკოლის დირექციას, რაც სკოლას შეუძლია გამოიყენოს სერვისის ხარისხის დასახვეწად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. მასზე განთავსებული ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, ანუ იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდი, https://einsteinschool.ge/ შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი აქტები. მათ შორის არის, „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის წესი“ და „მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“. ვებ. გვერდზე განთავსებულია ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტოები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის ვებ-გვერდი არ შეიცავდა ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ სრულ ინფორმაციას. კერძოდ, *ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სკოლის სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, რომელსაც სკოლა ახორციელებს, პროგრამაზე სწავლის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაცია, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.*

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი. ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლამ აღმოფხვრა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზები, კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსა ყველა ის ინფორმაცია, რომლიც დადგენილია სტანდარტის წინამდებარე ინდიკატორით. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი, https://einsteinschool.ge/;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუები მასწავლებლებთან და დირექციასთან;
- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, განცხადების/საჩივრის განხილვის შიდა წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა წესი, ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო წესები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილი სკოლის მიერ დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი** მოიცავდა დებულებებს მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის შესახებ. ასევე, სკოლაში ჩასარიცხად საჭირო

დოკუმენტაციის შესახებ. ამავე წესის 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ წინამდებარე წესი განსაზღვრავდა მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების არსებით შემადგენელ პირობებს, მოსწავლის შეფასების სისტემას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის, ინფორმაციას სწავლებისა და სწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, თუმცა ჩამოთვლილ რეგულაციებს დოკუმენტი არ შეიცავდა.

*ამავე დროს, დოკუმენტში გაწერილი მოსწავლის დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი არ ითვალისწინებდა ყველა იმ გადაცდომას, რაც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა,** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი მოსწავლის გადაცდომების ნუსხა სრულ შესაბამისობაში მოეყვანა სკოლის შინაგანაწესთან.*

შენიშვნა: სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში მოიყვანა სკოლის შინაგანაწესთან და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამადასტურებელი მტკიცებულება.

ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი, ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო წესები არ იყო სრულ შესაბამისობაში ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებასთან, რომლის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი სკოლას ავალდებულებს შემუშავებული ჰქონდეს რეფერირების შიდა ინსტრუქცია. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით არ იყო განმარტებული თუ რა ითვლება ბავშვზე ძალადობად, დეტალურად არ იყო გაწერილი როგორ, რა წინაპირობების არსებობისას და ვის მიერ უნდა განხორციელდეს ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა, ვის მიერ და როგრ უნდა განხორციელდეს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარობაზე ზედამხედველობა, ვის და როგორ უნდა დაუკავშირდეს ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ძალადობის ფაქტის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

დასკვნის პროექტში ასახულ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პრიოდი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო წესები, რომელიც შესაბამისობაშია ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებასთან. მათ შორის, აღნიშნული დოკუმენტით განმარტებულია რა ითვლება ბავშვზე ძალადობად და შესაბამისი უფლებამოსილი პირების და სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია დოკუმენტის შინაარსთან მიმართებით არსებული ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლის უფლებების უგულებელყოფაც წარმოადგენს ბავშვზე ძალადობის ფორმას. ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად და რეფერირების შიდა ინსტრუქციაზე დაყრდნობით, **დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, სკოლას უნდა განეხორციელებინა ღონისძიებები ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეფერირები მიზნით, რაც არ შეუსრულებია.** სკოლის განმარტებით,

როდესაც დირექციისთვის ცნობილი გახდა ბავშვთან დაკავშირებული ძალადობის ინციდენტის შესახებ, უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისად, საჭიროდ არ ჩათვალა მიემართა რეფერირების პროცედურებისთვის.

დასკვნის პროექტში ასახულ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პრიოდი. აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში უთითებს, რომ სკოლა არ უგულებელყოფს მოსწავლის უფლებებს და რომ სკოლას არ ჰყავს და არ ჰყოლია ძალადობის მსხვერპლი მოსწავლე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ეჭვის შემთხვევაშიც კი, სკოლამ უნდა აწარმოოს ფაქტის შესწავლა, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი. ამ შემთხვევაში კი სკოლისათვის რეფერირების პროცედურების განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მოსწავლის მხრიდან სკოლაში არ გამოცხადება/არარეგულარულად სიარული, რაც შესაძლოა ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე მიუთითებდეს. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც სკოლისათვის ცნობილი გახდა სკოლის გარეთ მომხდარი ბავშვთან დაკავშირებული ძალადობის ინციდენტის შესახებ, სკოლის მხრიდან არ მოჰყოლია ის რეაგირება, რაც მას თავის მხრივ ევალებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სკოლას არ ჰქონდა დეტალური და დაზუსტებული ინფორმაცია თუ რა ღონისძიებები ხორციელდებოდა სკოლის გარეთ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შედეგების შესამსუბუქებლად. სკოლა ფლობდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც ბავშვის წარმომადგენელმა ზეპირად მიაწოდა მას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით.

შესწავლილი შინაგანაწესი ითვალისწინებდა მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინის დაცვა სკოლაში, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სხვა მნიშვნელოვანი რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესის 30-ე მუხლი ითვალისწინებდა ისეთ რეგულაცია, როგორიცაა მოსწავლის ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე. აღნიშნული მუხლის თანახმად, მოსწავლე სკოლაში უნდა გამოცხადებულიყო სკოლის მიერ დაწესებული ფორმით. *სკოლაში დაუშვებელია მოსწავლე გამოცხადდეს: გრძელი გაშლილი თმებით; მაკიაჟითა და ტუჩსაცხით; დაგრძელებული/გრძელი მანიკურის, შილაკის ან/და სხვა ნივთიერების შემცველი ფრჩხილებით; ნებისმიერი სახის სამკაულით; ტატუთი, პირსინგით; ტოპით, სპორტული სამოსით, შორტით, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების, ვულგარული სურათის ან/და კარიკატურის შემცველი სამოსით. მოსწავლე უნდა იყოს მუდმივად მოწესრიგებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის'' მე-6 მუხლის თანახმად, მოსწავლე სკოლაში უნდა გამოცხადდეს შესაფერისი სამოსითა და აქსესუარით. შესაბამისად, აქსესუარის გამოყენება მოსწავლისთვის აღნიშნული ჩანაწერით აკრძალული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის შინაგანაწესის 30-ე მუხლით დაწესებული იყო კონკრეტული შეზღუდვები არა მხოლოდ ჩაცმულობასთან დაკავშირებით, არამედ, საერთოდ აკრძალული იყო ნებისმიერი სამკაულის გამოყენება, გრძელი გაშლილი თმა, დაგრძელებუი ან/და შეღებილი ფრჩიხლები. დამატებითი შეზღუდვები შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინდივიდუალურობის, პიროვნული ავტონომიურობის დაცვას და ჩაითვალოს მის სხეულზე უხეშ ზემოქმედებად, რადგან ბავშვები იძულებულები ხდებიან, მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ ატარონ შეკრული ან/და მოკლე თმა, მოკლე ფრჩხილები. ამასთან, სამკაულის საერთოდ აკრძალვა ეწინააღმდეგება მოსწავლის ქცევის კოდექსს, რომლითაც შესაფერისი აქსესუარი დასაშვებია.* საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების

თავისუფლად განვითარების უფლება. აღნიშნული უფლება იცავს ადამიანის ავტონომიურობას, თავისუფლებას, რათა მან შეძლოს საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი როგორც შინაგანი სამყარო, ასევე გონებრივი და ფიზიკური სფერო. აღნიშნული მუხლი იცავს პირის უფლებას, თავად აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში. არასრულწლოვანი, ისევე, როგორც სრულწლოვანი პირი, სარგებლობს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით, შესაბამისად, იგი დაცულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სახელმწიფოს მხრიდან.

დასკვნის პროექტში ასახულ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პრიოდი. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების დასტურად სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილ იქნა სკოლის კორექტირებული შინაგანაწესი. ცვლილების გათვალისწინებით, სკოლის შინაგანაწესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ ლახავს მოსწავლის უფლებებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ დებულებებს, ტრანზიციის მხარდამჭერ აქტივობებს. ვინაიდან საჩივარი ეხებოდა 2023-2024 სასწავლო წელს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო მოსწავლის ექსტერნის გამოცდის საფუძველზე შეფასება 30% და მეტი გაცდენების შემთხვევაში.

შედეგად დადგინდა, რომ მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული ფაქტის ირგვლივ, სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდებოდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს დადგინდა, რომ სკოლას თვალსაჩინოდ აქვს გამოკრული სასკოლო რეგულაციები, სხვადსხვა ცხელი ხაზის ნომრები, სკოლას გამოკრული ჰქონდა სექტემბრის თვეში ჩატარებული კონკრეტული საგნის/საგნების ერონული სასწავლო გეგმის მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით გამოცდების განრიგი, საკონსულტაციო განრიგი. სკოლის

მასწავლებლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი შინაარსობრივად კარგად იცნობენ სასკოლო რეგულაციებს და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები არ ატარებს ფორმალურ ხასიათს.

სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის რეგულაციების შესახებ. ინტერვიუს დროს მშობლებმა დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ სასკოლო რეგულაციებს და გაიხსენეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტის შინაარსი. მშობლებმა განაცხადეს, რომ შექმნილი მშობელთა კომიტეტი, რომელზეც ხორციელდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის თაობაზე. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით განხორციელდა სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებების შესწავლა, რომლებშიც გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. ხელშეკრულებები ითვალისწინებს ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის მიერ გაწერილი ვალდებულებები წარმოადგენს მოსწავლის უფლებების რეალიზების საფუძველს. სკოლას ხელშეკრულებებში გაწერილი აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების პირობები. *მე-5 მუხლის 5.6.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3.1., 5.3.2., და 5.3.3. ქვეპუნქტების შესაბამისად, თუ ხელშეკრულება წყდება სასწავლო წლის მეორე სემესტრის მიმდინარეობისას, გადახდილი თანხა წარმომადგენელს არ დაუბრუნდება.* დირექტორმა გასაუბრებისას განმარტა, რომ აღნიშნული პირობა გულისმობს მხოლოდ სკოლაში სწავლის პერიოდში პროპორციულად გადახდილი თანხის უკან არ დაბრუნებას და არა წინსწრებით გადახდილი თანხის შემთხვევაში თანხის დაკავებას. ვინაიდან ჩანაწერი იყო ბუნდოვანი და წარმოშვა კითხვა ხომ არ ირღვეოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნა კერძო სკოლის ვალდებულების ნაწილში, ***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** *<u>ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებში უფრო ნათლად გაწეროს წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების რეგულაცია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33² </u>* მუხლის დაცვით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის 32-ე მუხლი ადგენს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის პირობებს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას, ასევე, შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდა **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,** რომელიც მოიცავდა მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის შესახებ რეგულაციებს. წესში გაწერილი იყო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს მშობელმა მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას. ასევე, განსაზღვრულია მობილობის შემთხვევაში თუ რა დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი პირად საქმესთან ერთად. დოკუმენტის 1-ლი მუხლის 1.3 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ წესი განსაზღვრავს მოსწავლის სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, თუმცა ***დოკუმენტში არ იყო გაწერილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი და პროცედურა, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის წესი და პროცედურა, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესი დავალიანების შემთხვევაში, ექსტერნის გამოცდის საფუძველზე საგნის/კლასის/საფეხურის დაძლევის პროცედურა.*** **არც აღნიშნულ წესში და არც 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის წარმოდგენილ ნაწილში არ იყო გაწერილი მოსწავლის საფეხურის დაძლევის მექანიზმები. გარდა ამისა, სკოლის შიდა რეგულაციის თანახმად, სკოლაში (გარდა პირველი კლასის) მოსწავლის მისაღებად სკოლაში უნდა წარდგენილიყო საჯარო რეესტრის მიერ გაცემული მოსწავლის პირადი ნომერი.** ასეთ რეგულაციას არ ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანების N2 დანართით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში, მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა''. **ზოგადი განათლების მიღების უფლება აქვს ყველას ზოგადი გაანთლების შესახებ**

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, მათში იგულისხმება ის პირებიც, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ მინიჭებული პირადი ნომერი. შესაბამისად, ჩანაწერი, რომელიც სავალდებულოდ ადგენდა პირადი ნომრის სკოლისათვის წარდგენას, ზღუდავდა საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი პირების ზოგადი განათლების მიღების უფლებას.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის და შეწყვეტის მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც არ იყო სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის იდენტური შინაარსის, თუმცა შეესაბამებოდა საკანონმდებლო რეგულაციებს. ექსპერტთა ჯგუფი შეფასების პროცესში დაეყრდნო სკოლის მიერ ოფიციალურად წარმოდგენილ დოკუმენტს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის 3.9 პუნქტი ითვალისწინებდა მოსწავლის სკოლიდან გარიცხვას. გარიცხვის უფლება ჰქონდა დისციპლინურ კომიტეტს, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული რომ გარიცხვა დაუშვებელია საბაზო საფეხურის დასრულებამდე. ასევე, 3.9.4 ქვეპუნქტის თანახმად, სკოლა ვალდებული იყო დირექტორის ბრძანების შესაბამისი დამოწმებული ჩანაწერი გააკეთოს მოსწავლის პირად საქმეში, სადაც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ამორიცხვის მიზეზი და თარიღი. *აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ ბრძანებით დამტკიცებული პირადი საქმის წარმოების წესი არ ითვალისწინებს პირად საქმეში მოსწავლის დისციპლინური ზომის „გარიცხვის" შესახებ ინფორმაციის შეტანას. ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს. პირად საქმეში კი ინახება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია.*

ცენტრში შემოსულ განცხადებაში მითითებულია, რომ მოსწავლის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო იგი დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს. რეფერირების წესი და მოქმედი კანონმდებლობა კი სკოლას ავალდებულებდა მოსწავლის გაცდენები ჩაეთვალა საპატიოდ. განმცხადებელი ასევე წერს, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია მიზეზები, რომლის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენა ჩათვალოს საპატიოდ. კერძოდ, საპატიოდ ჩაითვლება გაცდენა, რომელიც გამოწვეულია: მოსწავლის ავადმყოფობით, სამედიცინო გამოკვლევეით, მოსწავლის ვალდებულებით გამოცხადდეს ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 21 ნოემბრამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა გაცდენების საპატიოდ ჩათვლას, თუმცა არა იმ საფუძვლით, რასაც განმცხადებელი უთითებს, არამედ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში. ამ შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დირექტორის უფლებამოსილებას მიეღო გადაწყვეტილება კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის პირობების გაუვრცელებლობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2023 წლის 21 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმა აღარ ითვალისწინებს გაცდენების საპატიოდ ჩათვლის რეგულაციას და საფუძვლებს. არც რეფერირების წესი და არც სხვა მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკოლის არც უფლებამოსილებას და არც ვალდებულებას რაიმე საფუძვლით გაცდენების საპატიოდ ჩათვლასთან დაკავშირებით.

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ასევე ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლამ შეიმუშავა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ახალი წესი რომელიც ითვალისწინებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესსა და პროცედურას, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის წესსა და პროცედურას, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესს დავალიანების შემთხვევაში, ექსტერნის გამოცდის საფუძველზე საგნის/კლასის/საფეხურის დაძლევის პროცედურას. სკოლამ შიდა რეგულაციები შესაბამისობაში მოიყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან.

გარდა ამისა, დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია მოსწავლის საფეხურის დაძლევის მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სკოლაში ჩარიცხვის, ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმების განხორციელების პროცესი. სკოლიდან გამოთხოვილ იქნა ბრძანებები და მოსწავლეთა პირადი საქმეები. დადგინდა, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. სკოლას აქვს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით საგნების დაძლევის გამოცდილებაც.

სკოლიდან გამოთხოვილ იქნა ექსტერნის გამოცდების ორგანიზების დამდადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა ექსტერნის გამოცდაზე მოსწავლის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის, გამოცდების განრიგის და შედეგების დამტკიცების ბრძანებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა საჩივრის ავტორი მშობლის განცხადება მოსწავლის 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ გაცდენების გამო ექსტერნის გამოცდების ჩატარების შემთხვევა სკოლაში ბოლო წლებში არ ჰქონია, თუმცა სკოლამ წარმოადგინა კონკრეტული საგნის/საგნების ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მიზნით ექსტერნის გამოცდის საფუძველზე კლასის დაძლევის გამოცდების ჩატარების დოკუმენტაცია, რომელიც განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება ექსტერნის გამოცდების განრიგს, განმცხადებელი უთითებს, რომ ექსტერნის გამოცდები 2023-2024 სასწავლო წელს სკოლამ გადაანაწილა 2 დღეზე თუმცა როგორც სკოლის დირექტორის ბრძანებით დადგინდა, გამოცდების განრიგი გათვალისწინებული იყო 4 დღეზე განაწილებით დღეში 3 გამოცდით. აღნიშნული დაადასტურეს იმ საგნების მასწავლებლებმაც, რომელ საგნებშიც ჩატარდა გამოცდა

და მეთვალყურემ. ექსტერნის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამოცდების განრიგი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების ვადებში ზოგადი განათლების რამდენიმე კლასის საგნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესაძლებლობა. ვინაიდან ექსტერნის გამოცდები მოსწავლეს უტარდებოდა მხოლოდ ერთი სასწავლო წლის საგნების მიხედვით და გადანაწილებული იყო 4 დღეზე, დღის განმავლობაში 3 გამოცდის ჩაბარება არ ეწინააღმდეგება ექსტერნის დებულებას.

განცხადებაში საუბარი იყო, რომ სკოლა გასულ წლებში არ აწარმოებდა ელექტრონულ ჟურნალებს, 2023-2024 სასავლო წლის მაისში დაიწყო წარმოება და არების ასახვა სწორედ მაშინ განხორციელდა გასულ პერიოდზე. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა ელექტრონული ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ,,Edu Page''-თან, რომელიც მოქმედებდა 2024 წლის აგვისტომდე და 2024 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ი/მ გიორგი თედორაძესთან, რომელიც მოქმედებს ამჟამად. აღნიშნულით დგინდება, რომ სკოლა სარგებლოდა ელექტრონული ჟურნალით, რაც ასევე დაადასტურეს მასწავლებლებმაც. ადგილზე დათვალიერებულ იქნა ამჟამად მოქმედი ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც აღრიცხულია იყო მოსწავლეთა დასწრება და შეფასებები. სკოლამ ასევე წარმაოდგინა 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედ ჟურნალში აღრიცხული მონაცემების excel_ის ცხრილების ამონაწერები, რომელიც სკოლას გამოეგზავნა ,,Edu Page''-სგან, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ. აღნიშნულ ფაილებში ფიქსირდება მოსწავლეთა დასწრების და მოსწავლეთა შეფასებების აღრიცხვა.

*ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით განხორციელდა მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლა. რამდენიმე პირად საქმეში არ იყო სრულყოფილად შევსებული პირადი საქმის მეორე გვერდზე არსებული გრაფები, მოსწავლის მობილობის და სტატუსის შეჩერება-აღდგენის შესახებ. **<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** მოსწავლის პირადი საქმეში შეავსოს ყველა სავალდებულო ინფორმაცია.*

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ითვალისწინებდა მოსწავლის გაცდენების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას და განსაზღვრული იყო გაცდენებზე დამრიგებლისა და სკოლის წერილობითი რეაგირების ვადები, სკოლას არ განუხორციელებია სათანადო პროცედურები კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით, ასევე 2023-2024 სასწავლო წლის ჟურნალის excel-ის ცხრილების შესწავლით დადგინდა, რომ საჩივარში მოხსენიებული მე-11 კლასის მოსწავლე სისტემატიურად აცდენდა სკოლას პარასკევ დღეს, სასწავლო წლის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე კი, საერთოდ აღარ გამოცხადებულა სასწავლო პროცესზე და გაცდენებმა მიიღო სისტემატიური ხასიათი. მოსწავლის მიერ სკოლის ხანგრძლივი პერიოდით გაცდენას სკოლის, მათ შორის დამრიგებლის მხრიდან, არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება. **სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლის მიერ გაცდენების შემთხვევაში მშობლის წერილობითი ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტები. კლასის დამრიგებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ მას წერილობით ინფორმაცია მშობლისთვის არ მიუწოდებია და აღნიშნული ახსნა იმით, რომ მოსწავლის ბებია, რომელსაც ბავშვი დაჰყავდა სკოლაში, ზეპირსიტყვიერად არაერთხელ იყო ინფორმირებული მოსწავლის გაცდენების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ (მოსავლის ბებია წარმოადგენს ცენტრში წარმოდგენილი განცხადების ავტორს). იმის გათვალისწინებით, რომ ბებიასთან კომუნიკაციას შედეგი არ**

მოჰყოლია, დამირებლის მხრიდან არ მომხდარა წერილობით დირექციისთვის მიმართვა მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. დამრიგებელმა აღნიშნული ახსნა იმით, რომ ბებიამ თავად განუცხადა დამრიგებელს, რომ მოსწავლე არ ივლიდა სკოლაში და აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლის დირექცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათი გაცდენის ინფორმირების შესახებ, რომელიც დათარიღებულია მაისით, თუმცა აღნიშნული ბარათი არ არის რეგისტრაციაში გატარებული. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სამსახურეობრივი ბარათი ინახებოდა დამრიგებლის პორტფოლიოში და კანცელარიაში არ დარეგისტრირებულა. საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მოსწავლე აცდენდა სისტემატიურად, მთელი სემესტრის განმავლობაში, ხოლო პარასკევ დღეს - მუდმივად, მოსწავლის მიერ სკოლის სისტემატიურმა გაცდენამ კი გამოიწვია 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნად საგნის დაძლევის აუცილებლობა. სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით მშობლის წერილობითი ინფორმირებია ვერანაირი მტკიცებულება სასწავლო წლის განმავლობაში ვერცერთ პერიოდზე.

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისობის უზრუნველეყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 23.12.2024-24.01.2025 პერიოდი.

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაშიც ადასტურებს, რომ მე-11 კლასის ყოფილი მოსწავლე ბევრს აცდენდა. სასწავლო წლის დასრულების ბოლოს მოსწავლე 2024 წლის 7 მაისიდან 14 ივნისამდე სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ ერთხელ 2024 წლის 20 მაისს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლე სკოლაში გამოცხადების მიუხედავად არ ჩართულა სასწავლო პროცესში. აღნიშნული ინტერვიუს დროს დაადასტურეს სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებელმა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დარღვევა განხორციელდა გასულ სასწავლო წელს და წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასება აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით არ შეცვლილა.

სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;

- მოსწავლეთა ბრძანებები;
- ექსტერნის გამოცდის მასალები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ელექტრონული ჟურნალის შესყიდვის ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან, დირექციასთან, მოსწავლეთა მშობლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ადგენს, რომ მასწავლებელი ვალდებულია ჩაუტაროს კონსულტაცია მოსწავლეს (მისი თხოვნის შემთხვევაში), რომელმაც საპატიო მიზეზით გააცდინა გაკვეთილები, განუსაზღვროს მას ვადები გამოტოვებული მასალის ჩასაბარებლად/აღსადგენად, ასევე, გაუწიოს კონსულტაცია გადასაბარებელ და საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების ხელშეწყობის მიზნით. სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით საფეხურზე მოსწავლის მიერ წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის დათმობილი საათების 20%-ის გაცდენის შემთხვევაში, პრევენციის მიზნით, დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებას, 30%-ის ან მეტის გაცდენის შემთხვევაში, სკოლა შეიმუშავებს კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამის პოლიტიკას (დამატებითი მეცადინეობები, საკონსულტაციო საათები, ინდივიდუალური მიდგომები). აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლის მხარდაჭერის სისტემის არსებობა ინტერვიუს დროს დაადასტურეს მასწავლებლებმაც. სკოლის მიერ შეთავაზებული საკონსულტაციო სისტემა ემსახურება მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებასა და მიღწევების გაუმჯობესებას.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
სკოლამ წარმოდგინა ექსტერნის გამოცდების მასალები როგორც გაცდების ექსტერნების გამოცდების შემთხვევაში, ასევე, ასაკობრივად კლასის დაძლევის ექსტერნის გამოცდის შემთხვევაში. დირექტორის ბრძანებით ყოველი გამოცდის წინ დამტკიცებულია კონსულტაციების განრიგი. ინტერვიუ განხორციელდა ექსტერნის გამოცდის ჩატარების მიზნით შექმნილ კომისიის წევრებთან, რომლებიც არიან შესაბამისი საგამოცდო საგნების მასწავლებლები და დაადასტურეს, რომ ექსტერნის გამოცდების წინა დღეებში, წინასწარ დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგის შესაბამისად ატარებენ კონკრეტული საგნის მიმართულებით კონსულტაციებს საგამოცდო პროგრამის ირგვლივ. შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ექსტერნის გამოცდის წინ შემუშავებული საკონსულტაციო განრიგი და მისი დამტკიცების ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 03.02.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: